



ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

პროგრამის სახელწოდება	თეოლოგია
პროგრამის დასახელება	ბიბლესტიკა. მოდული ა) ახალი აღთქმა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეოლოგიის დოქტორი (Dr. of Theology)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა/ კრედიტების რაოდენობა	არანაკლებ 3 წელი
პროგრამის შემუშავებისა და განახლების საკითხი	პროგრამა დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოზე 26/10/2020 ოქმი N88 (გაუმჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება).
პროგრამის ხელმძღვანელი	თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლესტიკის კათედრის გამგე, თეოლოგიის დოქტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი დეკანოზი გიორგი გუგუშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>ბიბლესტიკის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) ახალი აღთქმა) მიღება ცხადდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;</p> <p>ბიბლესტიკის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) ახალი აღთქმა) სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს მინიმუმ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შემდეგი პირობებით:</p> <p>ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრს თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის დარგში;</p> <p>ბ) ნებისმიერი დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) დაძლია თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში და მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია;</p> <p>გ) ფლობს ერთ-ერთ დასავლეთევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს) არანაკლებ B2-ის დონეზე, ან ფლობს რუსულ ან/და ახალ ბერძნულ ენას არანაკლებ B2-ისა და ერთ-ერთ დასავლეთევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს) მინიმუმ A2-ის</p>	

დონეზე. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული მოწმობა, რომელსაც გასცემს შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება, თან უნდა ერთვოდეს დოქტორანტობის კანდიდატის განცხადებას. სხვა შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატის უცხო ენის ცოდნა დასტურდება თსას-ის მიერ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის დადებითი შედეგებით.

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) ახალი აღთქმა) სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქესაც, რომელიც აღმსარებლობით არის მართლმადიდებელი. იგი უნდა ფლობდეს მაგისტრის ხარისხს; ნებისმიერი დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) დაძლია თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში და მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია; ასევე, მას უნდა ჰქონდეს ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სხვა შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატის ქართული ენის ცოდნა დასტურდება თსას-ის მიერ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის ორგანიზებული გამოცდის დადებითი შედეგებით;

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) ახალი აღთქმა) დაშვების წინაპირობისაგან გამონაკლისს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მიმართ ერთჯერადად ადგენს სამეცნიერო საბჭო, თუ პირის მიერ მიღებული განათლება და სამუშაო/პედაგოგიური/სამეცნიერო გამოცდილება ქმნის დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობას;

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) ახალი აღთქმა) ჩარიცხვის მსურველის განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა ერთვოდეს:

ა) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) შესაბამის დარგში აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

დ) საკვლევი თემის დასახელება და დასაბუთება (შემდგომში სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მომზადებული დასკვნა საკვლევი თემის აქტუალობის შესახებ წარედგინება სამეცნიერო საბჭოს);

ე) არსებობის შემთხვევაში - კვლევის მიმართულებიდან გამომდინარე - ნაშრომები (მატერიალური სახით);

ვ) სულიერი მოძღვრის რეკომენდაცია;

ზ) ორი ფოტოსურათი 3/4 ზომით, დისკთან ერთად;

თ) არსებობის შემთხვევაში - უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული მოწმობა, რომელსაც გასცემს შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება.

შემოსული განცხადება რეგისტრირდება თსას-ის კანცელარიაში და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის კათედრას;

თსას-ის სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს, საბუთების დაზუსტების მიზნით მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი მოთხოვნებიც;

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამის (მოდული ა) ახალი აღთქმა) ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტობის კანდიდატი განიხილავენ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკვლევო თემის დასახელებასა და დასაბუთებას. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი ამზადებს საკვლევო თემის აქტუალურობის შესახებ დასკვნას, რომელიც დოქტორანტობის მსურველის განცხადებასთან ერთად წარედგინება სამეცნიერო საბჭოს;

დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ საბუთებზე დაყრდნობით, თსას-ის სამეცნიერო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სტატუსის მოპოვებისათვის თსას-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე კანდიდატის დაშვების შესახებ;

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) ახალი აღთქმა) დაშვების მიზნით დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია დაძლიოს თსას-ის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. საგამოცდო საკითხებს (პროგრამას), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებენ შესაბამისი სადოქტორო - საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კათედრები;

დოქტორანტების ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თსას-ის სამეცნიერო საბჭო;

თსას-ის სამეცნიერო საბჭოს მიერ დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თსას-ის რექტორი გამოსცემს ბრძანებას;

თსას-ის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული პირი არის თსას-ის დოქტორანტი, რომელსაც ენიშნება შესაბამისი ცენზისა და კვლევის გამოცდილების მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი;

თსას-ს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის იდება სამმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა ვალდებულებები და უფლებები.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამა, რომელიც ეყრდნობა თანამედროვე სტანდარტებისა და გამოწვევების შესაბამის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ამზადებს მკვლევარ-მეცნიერებს თეოლოგიის სფეროში ბიბლიესტიკის მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს ანალიტიკური უნარით აღჭურვილი პროფესიონალი სამეცნიერო კადრების მომზადებას, რომლებიც დაგეგმავენ ინოვაციურ კვლევებს, გამოიყენებენ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს თეოლოგიაში არსებული აქტუალური პრობლემებისა და სადავო საკითხების გადასაჭრელად. შესაბამისად, ამ პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ, გამოავლინონ თეორიული ცოდნა, გამოიყენონ ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონკრეტულ თეოლოგიურ საკითხებზე წმინდა წერილისეული ეპიზოდების მოხმობით, პარალელები გაავლონ თეოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპთან.

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოირჩევა ინტერდისციპლინური მიდგომით. მისი მიმართება იკვეთება ბევრ მომიჯნავე დარგთან, როგორც არის ისტორია, არქეოლოგია, პალეოგრაფია, ფილოსოფია, ხელოვნება, საეკლესიო სამართალი და ა.შ. შესაბამისად, ამ პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებს შეეძლება იმუშაონ საკვლევო საკითხების ფართო სპექტრზე და ითანამშრომლონ უნივერსიტეტების სხვა პროგრამებთან.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არის არანაკლებ სამი წელი.

პროგრამის მიზნები

ბიბლიესტიკის სადოქტორო პროგრამა მოიცავს ბიბლიესტიკის სფეროს კვლევით ინტერესებს. მისი მიზანია სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) შექმნილი ცოდნის, გამოცდილებისა და კვლევის უნარის ერთმანეთთან დაკავშირება და ამ გზით ახალი, ფართო მეცნიერული ხედვისა და წარმატებული მკვლევარ-ბიბლიესტის ჩამოყალიბება. პროგრამა შეესატყვისება სასულიერო აკადემიის უმთავრეს დანიშნულებას და გამოკვეთს მის რეგიონულსა და საერთაშორისო როლს.

სადოქტორო პროგრამის მიზანია:

1. თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს თეოლოგიის კონკურენტუნარიანი მკვლევრები ბიბლიესტიკის მიმართულებით, რომლებსაც ექნებათ ღრმა თეორიული ცოდნა და შეძლებენ აღნიშნულ სფეროში არსებული გამოწვევების შესწავლას, ანალიზსა და დაძლევას;
2. შექმნას ახალი, ინტერდისციპლინურ მოდგომებზე დამყარებული კვლევის მეთოდი ბიბლიესტიკის სფეროში არსებული გამოწვევების ირგვლივ;
3. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ბიბლიესტიკის, როგორც დარგის, განვითარებაში.

მოამზადოს უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, უპირველესად კი საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული უმაღლესი სასულიერო სასწავლებლებისა და საღვთისმსახურო კერებისათვის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები.

სწავლის შედეგები

მოდული ა) ახალი აღთქმა

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს:

1. უახლეს მიღწევებზე დამყარებული სისტემური ცოდნა ბიბლიესტიკის მიმართულებით, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციურ მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
2. ამ დარგში გამოიმუშავებული კვლევის უახლესი მეთოდების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი, რაც გულისხმობს რელევანტური კვლევების წარმოებას ბიბლიესტიკის მიმართულებით ინოვაციური ინტერდისციპლინური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის სარგებლობით;
3. კურსდამთავრებული აცნობიერებს ბიბლიესტიკის სფეროში აქტუალური საკითხების შესახებ არსებული ცოდნის ხელახლა გააზრების საჭიროებას და ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობებს ბიბლიესტიკის მიმართულებით კვლევებში ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ბიბლიესტიკის სფეროში აქტუალური საკითხების შესახებ მსჯელობა და ანალიზი სხვადასხვა თეორიის ჭრილში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონტექსტში;
2. კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე;
3. ბიბლიესტიკის დარგში ინოვაციური კვლევის სრული ციკლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით და კვლევის შედეგების ასახვა საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
4. ბიბლიესტიკის საკითხებზე ახალი ცოდნის გავრცელება მიმდინარე ადგილობრივ და საერთაშორისო დისკუსიაში ჩართვით;
5. საკუთარი აკადემიური საქმიანობის შეფასება, ანალიზი და მისი გაუმჯობესებისათვის საჭიროებების განსაზღვრა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სადოქტორო პროგრამის გავლის შემდეგ:

1. იჩენს სათანადო ყურადღებას, პასუხისმგებლობით მოეკიდონ ბიბლიის, როგორც ღვთის სიტყვის, ღირებულებების საზოგადოებაში გავრცელებასა და დამკვიდრებას;
2. იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპს - სხვების პოზიციას აფასებს კორექტულად, წერის დროს იყენებს ადეკვატურ სამეცნიერო ლექსიკასა და ენობრივ სტილს;
3. პატივს სცემს კოლეგების აზრს და კვლევების ჩატარებისას იცავს სამეცნიერო ეთიკის ნორმებს.

სწავლის მეთოდები

პროგრამის სასწავლო და კვლევით კომპონენტში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ლექცია და სემინარი (ვერბალური და წერიტი მეთოდი), პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსია/დებატები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვ.

დასაქმების სფეროები

- საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული უმაღლესი სასწავლებლები;
- კერძო და საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები.
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- არქივი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები, გამომცემლობები, რედაქციები;

შეფასების წესი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით (შეფასება 100-ქულიანია):

- ა) A- ფრიადი (summa cum laude) - 91-100 ქულა,
- ბ) B- ძალიან კარგი (magna cum laude) - 81-90 ქულა,
- გ) C- კარგი (cum laude) - 71-80 ქულა,
- დ) D- საშუალო (bene) - 61-70 ქულა,
- ე) E- დამაკმაყოფილებელი (rite) - 51-60 ქულა,
- ვ) FX- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - 41-50 ქულა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება,
- ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დაენიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ ხუთ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი,
 - ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება,
 - გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება,
 - დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს,
 - ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს,
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო,
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
- „ა“-დან „ე“ ქვეკუთხედების ჩათვლით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- „ვ“ ქვეკუთხედით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;
- „ზ“ ქვეკუთხედით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

სწავლისათვის აუცილებელი რესურსები

- თბილისის სასულიერო აკადემიის ბიბლიოთეკა;
- საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკა;
- სალექციო აუდიტორიები და პროფესორების სამუშაო ოთახები;

სასწავლო პროგრამის აღწერილობა

პროგრამა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან - **სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან**.
სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს კრედიტების დაგროვებას კვლევასთან დაკავშირებულ კურსებში და ასისტირებაში.
კვლევითი კომპონენტი კი უშუალოდ კვლევის განხორციელებას და დისერტაციაზე მუშაობას გულისხმობს.
სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია. სასწავლო კომპონენტი - 60; 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს.

№	სასწავლო კომპონენტის აღწერა:	სემესტრი						ECT S
		I	II	III	IV	V	VI	
	სავალდებულო							
1.	ახალი აღთქმის ეგზეგეზისი	√						5
2.	სწავლის მეთოდები			√				5
3.	დოქტორანტის სემინარი		√					10
4.	პროფესორის ასისტენტობა					√		5
	არჩევითი							
1.	აკადემიური წერა ¹	√						5
2.	კვლევის მეთოდები		√					5
3.	წმინდა წერილის წიგნთა შექმნის ისტორია და ქართული თარგმან-რედაქციები		√					5
4.	ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა - კონე)	√						5
5.	ბიზანტიური ტექსტები II		√					5
6.	საეკლესიო სლავური ენა			√				5
7.	ლათინური ენა I	√						5

¹ „აკადემიური წერა“ და „კვლევის მეთოდები“ სავალდებულო სალექციო კურსია მათთვის, ვისაც დოქტორანტურისათვის აუცილებელი მოცულობისა და შინაარსის კურსი - „აკადემიური წერა“ და „კვლევის მეთოდები“- უმაღლესი განათლების წინა საფეხურზე (მაგისტრატურა) არ დაუძლევიან.

8.	ლათინური ენა II		√							5
9.	ქრისტიანული (ქართული) საღვთისმეტყველო სკოლები			√						5
10.	ძველი აღთქმის წინასწარუწყებანი ახალი აღთქმის მოვლენათა შესახებ			√						5
11.	ქრისტიანული სამართლის წყაროები		√							5
№	კვლევითი კომპონენტის ჩამონათვალი							ECTS		
		სემესტრი								
		I	II	III	IV	V	VI			
1.	სადოქტორო თემის გეგმის შედგენა; ბიბლიოგრაფიის შედგენა.	√								
2.	ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი.		√							
3.	დისერტაციის მომზადების I ეტაპი.			√						
4.	დისერტაციის მომზადების II ეტაპი.				√					
5.	დისერტაციის მომზადების III ეტაპი.					√				
6.	კოლოქვიუმი I.				√					
7.	კოლოქვიუმი II.					√				
8.	დისერტაციის დაცვა.						√			

სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღწერილობა

კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი	
					შემ	გაზ
ახალი აღთქმის ეგზეგეზისი	არ არსებობს	ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი	45	5	√	
სწავლის მეთოდები	არ არსებობს	პედაგოგიკის დოქტორი ავთანდილ ასათიანი	45	10		√
დოქტორანტის სემინარი	არ არსებობს	ხელმძღვანელი/ებ ი,მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	5	√	

	პროფესორის ასისტენტობა	არ არსებობს	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალური	5	✓	
	წმინდა წერილის წიგნთა შექმნის ისტორია და ქართული თარგმან-რედაქციები	არ არსებობს	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო მელიქიშვილი	45	5	✓	
	ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა - კოინე)	არ არსებობს	ფილოლოგიის დოქტორი ვიქტორია ჯუღელი	45	5		✓
	ბიზანტიური ტექსტები II	ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა - კოინე)	ფილოლოგიის დოქტორი ვიქტორია ჯუღელი	45	5	✓	
	საეკლესიო სლავური ენა	არ არსებობს	ფილოლოგიის დოქტორი ირინე კაპანაძე	45	5	✓	

ლათინური ენა I	არ არსებობს	ფილოლოგიის დოქტორი ვიქტორია ჯუღელი	45	5		✓
ლათინური ენა II	ლათინური ენა I	ფილოლოგიის დოქტორი ვიქტორია ჯუღელი	45	5	✓	
ქრისტიანული (ქართული) საღვთისმეტყველო სკოლები	არ არსებობს	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია რაფავა	45	5	✓	
ძველი აღთქმის წინასწარუწყებანი ახალი აღთქმის მოვლენათა შესახებ	არ არსებობს	თეოლოგიის დოქტორი ქუთათელ- გაენატელი მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი	45	5		✓
ქრისტიანული სამართლის წყაროები	არ არსებობს	თეოლოგიის დოქტორი გიორგი ანდრიაძე	45	5	✓	

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ახალი აღთქმის ეგზეგეზისი	✓	✓	✓
სწავლის მეთოდები	✓	✓	✓
დოქტორანტის სემინარი	✓	✓	✓
პროფესორის ასისტენტობა	✓	✓	✓
წმინდა წერილის წიგნთა შექმნის ისტორია და ქართული თარგმან-რედაქციები	✓	✓	✓
ბიზანტიური ტექსტები I (ძველი ბერძნული ენა - კოინე)	✓	✓	✓
ბიზანტიური ტექსტები II	✓	✓	✓
საეკლესიო სლავური ენა	✓	✓	✓
ლათინური ენა I	✓	✓	✓
ლათინური ენა II	✓	✓	✓

ქრისტიანული (ქართული) საღვთისმეტყველო სკოლები	✓	✓	✓
ძველი აღთქმის წინასწარუწყებანი ახალი აღთქმის მოვლენათა შესახებ	✓	✓	✓
ქრისტიანული სამართლის წყაროები	✓	✓	✓

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალები

№	სახელი და გვარი	სტატუსი	ელექტრონული ფოსტა
1.	მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი	თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი	center@venakhi.ge
2.	დეკანოზი გიორგი გუგუშვილი	ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი	Mamagiorgi.gugushvili@mail.ru
3.	ანდრიაძე გიორგი	თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი	andriashi@yahoo.com
4.	ასათიანი ავთანდილ	პედაგოგიკის დოქტორი	Avtandil110@gmail.com
5.	კაპანაძე ირინე	ფილოლოგიის დოქტორი	irina-kapanaelze@mail.ru
6.	მელიქიშვილი ნინო	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი	ninomelikishvili@hotmail.com
7.	რაფავა მაია	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი	mraphava@yahoo.com
8.	ჯუღელი ვიქტორია	ფილოლოგიის დოქტორი	victoria.jugeli@tsu.ge